თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6737058

ნომერი: AR1984174

თარიღი : 22.08.2023

გაცემის თარიღი : 31.10.2023

გაცნობის თარიღი : 01.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 64;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ზაუტაშვილი პ/ნ 01025000185
- ქუჩიშვილის ქ 12

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ნიუ ფორს" კოდი: 405144561

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 22 აგვისტოს №AR1984174 განცხადებით მომართა დავით ზაუტაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N64-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.037.042), სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ნოემბრიდან 2022 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6215250 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 18 ნოემბრიდან 2024 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 1750.0 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1414.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 300.0 კვ.მ-ის ნაცვლად 450.9 კვ.მ., საერთო ფართობი 2050.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1926.8 კვ.მ. ამასთან, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობის (61.8 კვ.მ.) დამატება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და არქიტექტურული გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხარე ფართობი: 61.8 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს: 1414.1 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 450.9 კვ.მ., საერთო ფართობად: 1926.8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ნოემბრის №5683321 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.